ახალი ხარაგაული

354 (13) 12 ივნისი, 2017 წ

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე დაესწრო

პირველი ივნისი, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, ხარაგაულში სხვადასხვა ღონისძიებით აღინიშნა. საზეიმო განწყობა დილიდანვე შეიმჩნეოდა მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღებში. დაბის №1 სკოლამდელ დანესებულებაში გაიმართა თოჯინების თეატრის სპექტაკლი„მეგობრობას რა სჯობს“. მხიარულ და ხალისიან ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე და ბაღების გაერთიანების დირექტორი, მამუკა ჭიპაშვილი, დაესწრნენ.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა ასევე ა(ა)იპ „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში.“ მგალობელ ბავშვთა გუნდმა (რეგენტი თორნიკე ბაკურაძე) შეასრულა საგალობლები, ხოლო ლიტერატურული წრის წევრებმა (ხელმძღვანელი თამარ ავალიშვილი) ლექსები წაიკითხეს. კინოთეატრში გამართულ კონცერტზე კი მოსწავლე-ახალგაზრდობის აღსაზრდელებმა ბებიებთან ერთად იმღერეს.

ამ მნიშვნელოვან დღესასწაულს ხარაგაულის ისტორიული მუზეუმიც შეუერთდა (დირექტორი ნინო დიდიძე). №1 საბავშო ბაღის აღსაზრდელების მონაწილეობით განხორციელდა პროექტი - „ჩემი პატარა ხელებით“, რომლის ფარგლებშიც ბავშვებს შესაძლებლობა ჰქონდათ, მათთვის სასურველ თემაზე დაეხატათ და გამოეძერწათ. ამავე დღეს მუზეუმის დარბაზში მოეწყო გამოფენა- „ჩემი საყვარელი თოჯინები.“

პირველი ივნისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები დღის მეორე ნახევარში კინოთეატრში გაგრძელდა, სადაც ხარაგაულის ხალხური შემოქმედების სახლის ფოლკლორულ- ქორეოგრაფიულ ანსამბლ „საუნჯესთან“ ერთად კონცერტში მონაწილეობა მიიღეს სპეციალურად ამ დღისთვის მოწვეულმა ანსამბლებმა - „ლაშარეღამ“ და „ამარტამ“ (ხელმძღვანელი გიორგი უშიკიშვილი).

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, პატარებს ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე მიულოცა და აღნიშნა, რომ მომავალ თაობაზე ზრუნვა, მათი სწავლისა და განვითარებისათვის საჭირო გარემოს შექმნა, ხელისუფლების პრიორიტეტია. გამგებელმა ასევე მადლობა გადაუხადა სტუმრებს მრავალფეროვანი და შთამბეჭდავი ღონისძიებისთვის

ეკა შავიძე

ბაზალეთი - სარგვეში - ღორეშა -უბისის გზის რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი გამოცხადდა

საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა ღორეშა-ბაზალეთის გზის რეაბილიტაციის მიზნით ტენდერი გამოაცხადა. ამის შესახებ ინფორმაცია ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელს, ნიკოლოზ თოფურიძეს, ოფიციალური წერილით ეცნობა. ტენდერი 30 მაისს გამოცხადდა, წინადადებების მიღება კი 30 ივნისს დასრულდება. პროექტის ფარგლებში მობეტონდება 11 კმ გზა, რომლითაც ხარაგაული ბაზალეთი - სარგვეში - ღორეშა -უბისის მიმართულებით თბილისი-სენაკი-ლესელიძის ცენტრალურ მაგისტრალს დაუკავშირდება. სამუშაოების სავარაუდო ღირებულება 2 803 439 ლარია.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, მოსახლეობასთან შეხვედრებს გაგრძელებს

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, მორიგი შეხვედრა კიცხისა და წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულებში გამართა. შეხვედრას გამგებლის მოადგილე თემურ ჩხეიძე, საკრებულოს წევრი მარინე ვეფხვაძე და ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი, ოთარ ლურსმანაშვილი, ესწრებოდნენ. გამგებელი ადგილობრივების პრობლემებს პირადად გაეცნო და სოფლებში დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ისაუბრა. როგორც ნიკოლოზ თოფურიძემ აღნიშნა, საქარიქედზე 2,5 კმ სიგრძის ცენტრალური გზა მობეტონდება. აღნიშნული პროექტი ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ უკვე მოიწონა. 2500 მეტრ გზას რეაბილიტაცია ჩაუტარდება ასევე სოფელ კიცხში, მდინარაძეების უბანში.

გამგებელმა განმარტა, რომ პროექტის განხორციელება გამოცხადებული ტენდერებიდან დაზოგილი თანხებით იქნება შესაძლებელი. რაც შეეხება წყალაფორეთის ადმინისტრაციულ ერთეულს, ნიკოლოზ თოფურიძე ამბობს, რომ ლახუნდარაში 2კმ. და 400 მეტრი გზა მობეტონდება, ხონში კი 400მ-იანი მონაკვეთი.

გამგებელმა გაზიფიცირების საკითხზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეს პროცესი შედარებით ნელი ტემპით მიმდინარეობს, მაგრამ სახელმწიფოს მიზანია, ბუნებრივი აირი ყველა სოფელში შევიდეს.

მოსახლეობამ ხელმძღვანელ პირებთან ერთად რიგ პრობლემებზე ისაუბრა და შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა.

მთავარ პრობლემად ხე-ტყეზე მიუწვდომლობა დასახელდა. ნიკოლოზ თოფურიძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ამ საკითხზე საკანონმდებლო ორგანოში ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, აქტიურად მუშაობს და იმედი გამოთქვა, რომ მალე კანონი მოსახლეობის სასარგებლოდ შეიცვლება. გამგებელმა სოფელში არსებული სოციალური პრობლემებიც მოისმინა და მათი გადაჭრისთვის ადგილობრივებს დახმარება აღუთქვა.

ლელა გუგულაშვილი

ღარიხევსა და ვარძიაში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, მოინახულა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, ღარიხევის გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა. აღნიშნულ მონაკვეთზე ბეტონის საფარი იგება და სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „დავითი“ ასრულებს. პროექტის ღირებულება 63 109 ლარია და, ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების თანახმად, იგი ორ კვირაში უნდა დასრულდეს. ამავე დღეს გამგებლის პირველი მოადგილე ადგილზე გაეცნო ვარძიის გზისა და ხიდარში ცენტრალურ გზაზე არსებული ხიდის სარეაბილიტაციო სამუშაოებს. ხიდარში დაგეგმილია სკოლასთან მისასვლელი გზის მობეტონებაც.

არჩილ მაღრაძის თქმით, ინფრასტრუქტურის სამინისტროს რეგიონალური განვითარების ფონდიდან ხარაგაულის მუნიციპალიტეტს მიმდინარე წელს 3 535 500 ლარი გამოეყო და აღნიშნული თანხა ძირითადად გზების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე მიიმართა. როგორც გამგებლის პირველი მოადგილე აღნიშნავს, ტენდერში გამარჯვებული კომპანიები გამოვლენილია და გზაზე ბეტონის საფარის მოწყობა უმოკლეს ვადაში ლაშის იგორეთში, ვახანში, ნებოძირში, ვერტყვილაში, ქვებში, მაქათუბანში, ვაშლევში, წაქვასა და გოლათუბანში დაიწყება. არჩილ მაღრაძე ვარაუდობს, რომ დაახლოებით ორ-სამ წელიწადში მუნიციპალიტეტის ყველა სოფლის გზა რეაბილიტირებული იქნება.

ეკა შავიძე

შვედეთის ელჩის მოადგილე ხარაგაულს სტუმრობდა

შვედეთის ელჩის მოადგილე, ლინ ნეტელვიკი, ხარაგაულს სტუმრობდა. ვიზიტის ფარგლებში ქალბატონი ლინი მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველ მოადგილეს, არჩილ მაღრაძეს, შეხვდა და უბისის ტაძრის მიმდებარედ ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო. ამავე დღეს ლინ ნეტელვიკი, იმერეთის გუბერნატორის პირველი მოადგილე პაატა ნადირაძე, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, მოადგილე არჩილ მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, დავით კიკნაძე, ვერტყვიჭალის საჯარო სკოლაში სმენადაქვეითებულ ბავშვთა გამოსავლენად ჩატარებულ კვლევის პროცესს დაესწრნენ. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა უცხოელ სტუმრებს ამ მეტად მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისათვის მადლობა გადაუხადეს და ერთხმად აღნიშნეს, რომ მსგავსი იდეები ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ყოველთვის მხარდაჭერილი იქნება.

შვედეთის ელჩის მოადგილემ ხაზი გაუსვა საქართველოში სტუმარმასპინძლობის ტრადიციას და მადლიერების გრძნობა გამოხატა ქართველი ხალხის მიმართ, ესოდენ დიდი სითბოსა და ყურადღებისათვის.

ვერტყვიჭალის საჯარო სკოლის დირექტორმა, ლენა აბაშიძემ, შვედ სტუმრებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა.

შეგახსენებთ, რომ სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციისა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ, პრევენციის მიზნით, კვლევა 20 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა და სმენადაქვეითებულ ბავშვებს სასმენი აპარატები უფასოდ გადაეცათ.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, შვედ ექიმებს სიმბოლური საჩუქრები გადასცა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში სმენადაქვეითებულ ბავშვთა გამოსავლენად შვედმა ექიმებმა კვლევა ჩაატარეს, რომლის ფარგლებში 900-მდე მოსწავლე შემოწმდა. ძირითადად, აქცენტი I-IV კლასის აღსაზრდელებზე გაკეთდა და ამათგან 70-ს სმენის პრობლემის სხვადასხვა სტადია დაუდგინდათ, რომლებსაც სასმენი აპარატები უფასოდ გადაეცათ. აღსანიშნავია, რომ შვედი ექიმების მიერ გაწეული ქველმოქმედება, დაახლოებით, 100 000 ლარის ღირებულებას შეადგენს. მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრის დირექტორმა, შმაგი ხიჯაკაძემ, სტოკჰოლმის სმენადაქვეითებულთა ასოციაციის ექიმებს ხარაგაულელების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერებისთვის მადლობის სიგელები და სიმბოლური საჩუქრები გადასცეს.

შეგახსენებთ, რომ პროექტი მაია ჯონსონის ძალისხმევითა და მუნიციპალიტეტის გამგეობის მხარდაჭერით განხორციელდა, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩართული გამგებლის თანაშემწე გენდერულ საკითხებში ინგა ბერაძე და ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის ცენტრი (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე).

ეკა შავიძე

ამერიკელი მოხალისეები სტუმრად ბორის სკოლა-პანსიონში

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის ბორის სკოლა-პანსიონი არასამთავრობო ორგანიზაციის „ფონდი თბილისის მოზარდთა სახლის“ ეგიდით უკვე რამდენიმე წელია, ამერიკელ მეგობრებთან თანამშრომლობს, რომელთა დახმარებით სკოლაში სხვადასხვა სახის საქველმოქმედო აქციები ეწყობა. აქ ფუნქციონირებს ასევე სამოქალაქო კლუბი - „სმარტკლუბი“, რომელიც მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახებისთვის სოციალურ პროექტებს ახორციელებს. ამერიკელი მოხალისეები ყოველი წლის გაზაფხულზე ჩამოდიან ბორში და მათივე დაფინანსებით სკოლაში არსებული წრეების მუშაობას ადგილზე ეცნობიან. წელს უცხოელი სტუმრები სკოლას „ფონდ თბილისის მოზარდთა სახლის“ თავმჯდომარე თამუნა გრიგოლიასთან და ამავე ფონდის წარმომადგენელ ვასო ნატროშვილთან ერთად რამდენიმე დღე სტუმრობდნენ და, როგორც ყოველთვის, რაიონის სტუმარმასპინძლობით მოხიბლული არიან. 3 ივნისს სკოლაში დასკვნითი ღონისძიება მოეწყო, რომლის ფარგლებში ინტელექტუალური თამაში „ნიჭიერი“ გაიმართა. მოსწავლეთა მიერ შესრულებულ ნომრებს კომპეტენტური ჟიური აფასებდა, რომელიც ამერიკელი სტუმრებისგან იყო დაკომპლექტებული. „ნიჭიერის“ გამარჯვებული ჯგუფი „მწვერვალი“ და სულიკო ფაიქრიძე გახდნენ, რომლებსაც დიპლომები და ფასიანი საჩუქრები გადაეცათ.

ღონისძიებას ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატი, კობა ლურსმანაშვილი, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი დავით კიკნაძე ესწრებოდნენ.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები სტუმრებს მიესალმნენ და მადლობა გადაუხადეს ბორის სკოლა-პანსიონში გაწეული ქველმოქმედებისთვის.

აღსანიშნავია, რომ ამერიკელმა მოხალისეებმა სკოლაში არსებულ წრეებს საჩუქრად საჭირო ინვენტარი გადასცეს. გარდა ამისა, მათივე დაფინანსებით მოსწავლეთათვის სასწავლო წლის ბოლოს ექსკურსია მოეწყობა.

ეკა შავიძე

ამერიკელმა მოხალისემ ხარაგაული დატოვა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის განვითარებისა და შიდა ტურიზმის ხელშეწყობის ცენტრი ამერიკის „მშვიდობის კორპუსის“ მოხალისეს, ნეით თრაურინგს, დაემშვიდობა. ნეითმა ხარაგაულში ორი წელი გაატარა და ტურიზმის ცენტრში მუშაობის პერიოდში არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა. მან არა მარტო თანამშრომლებს, არამედ სრულიად ხარაგაულს შეაყვარა თავი.

„ერთგული, სამართლიანი, შრომისმოყვარე, პუნქტუალური“,- ამ სიტყვებით აფასებს ამერიკელ მოხალისეს ტურიზმის ცენტრის დირექტორი, ბერიკა თურმანიძე და ნეითს მოუწოდებს, არასოდეს დაივიწყოს ხარაგაული და ხარაგაულელი მეგობრები.

გამოსამშვიდობებელ საღამოზე, მამუკა ჭიპაშვილმა (ნეითი ხარაგაულში მამუკა ჭიპაშვილის ტურიზმის ცენტრის დირექტორობის პერიოდში ჩამოვიდა) ამერიკელი მოხალისის ხარაგაულში ყოფნის პერიოდი მოკლედ მიმოიხილა და დამსწრე საზოგადოებას 2 წლიანი მოღვაწეობის ფოტომასალა წარუდგინა.

ღონისძიებას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, დაესწრო, რომელმაც ნეით თრაურინგს სამშობლოში სიმბოლური საჩუქარი გაატანა. მას ასევე საჩუქრები გადასცეს, ტურიზმის სამსახურმა, მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელმა ოთარ ლურსმანაშვილმა და ბავშვებმა.

ნეითმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ აქ ძალიან ბევრი მეგობარი შეიძინა და ხარაგაული ახლა უკვე მისთვის მეორე სამშობლოა. „მე დავბრუნდები აუცილებლად“, -ამ სიტყვებით დაემშვიდობა მეგობრებს ამერიკელი მოხალისე.

თამარ მაღრაძე

ბიუროს სხდომაზე პეტიციის სახით შემოსულ საკითხზე იმსჯელეს

2 ივნისს ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომა გაიმართა. დეპუტატებმა საკრებულოს აპარატში პეტიციის წესით შესულ საკითხზე იმსჯელეს, რომლის თანახმადაც, ღორეშის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა სასაფლაომდე მისასვლელი 150მ-იანი გზის რეაბილიტაციასა (კვადოურას უბანში) და სასაფლაოს შემოღობვას ითხოვს. საკითხი საკრებულოს აპარატში არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ წევრებმა წარადგინეს. დეპუტატების გადაწყვეტილებით. იგი განსახილველად გამგებელს გადაეგზავნა, რომელმაც არაუგვიანეს ერთი თვის განმავლობაში შესაბამისი დასკვნა უნდა წარუდგინოს საკრებულოს დასამტკიცებლად.

გარემოს დაცვის საერთაშორისო დღეს ხარაგაულიც შეუერთდა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტში გამგებლის პირველი მოადგილის, არჩილ მაღრაძის, ინიციატივითა და გამგეობის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის ორგანიზებით გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე აღინიშნა. აქციის ფარგლებში გამგეობის თანამშრომლებმა რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორია დაასუფთავეს.

აღსანიშნავია, რომ გარემოს დაცვის საერთაშორისო დღე გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 1972 წელს დააწესა და მიზნად ისახავს ბუნების მიმართ ადამიანთა პასუხისმგებლობის გაცნობიერებას. აქციის წლევანდელი სლოგანი „იცოდე მეტი გარემოზე“ სწორედ დიდი რაოდენობით ბუნებრივი რესურსების მოხმარებას უკავშირდება.

თამარ მაღრაძე

საქართველოს ჩემპიონატი „კუნგ-ფუ-სანდაში“ ხარაგაულში ჩატარდა

საქართველოს ჩემპიონატს „კუნგ-ფუ-სანდაში“ წელს ხარაგაულის მუნიციპალიტეტმა უმასპინძლა. შეჯიბრი 4 ივნისს ა(ა)იპ „ხარაგაულის სპორტის განვითარებისა და მართვის მუნიციპალურ ცენტრში“ გაიმართა, რომელსაც მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე და „კუნგ-ფუს“ ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი ,ოლეგ ფანჩულიძე, ესწრებოდნენ. ჩემპიონატი 6-დან 18 წლამდე ასაკობრივ კატეგორიაში მიმდინარეობდა, სადაც ხარაგაულელმა სპორტსმენებმა წარმატებით იასპარეზეს. პირველობა წილად ხვდათ: საბა სულაქველიძეს, დაჩი შარიქაძეს, რატი დევდარიანს, ბესო მაჭავარიანს, გაგა გელაშვილს, გოგა ფურცელაძეს, საბა თაბუკაშვილს, გიორგი და ერეკლე მაღრაძეებს. 2017 წლის საუკეთესო სპორტსმენის ტიტული მოიპოვეს და სერტიფიკატებით დაჯილდოვდნენ: გაგა გელაშვილი, რატი დევდარიანი, გიორგი და ერეკლე მაღრაძეები. საუკეთესო მწვრთნელად ზვიად კურტანიძე დასახელდა.

სპორტსმენებს მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, გამარჯვება მიულოცა და წარმატებები უსურვა. „კუნგ-ფუს“ ფედერაციის პრეზიდენტმა, ოლეგ ფანჩულიძემ, კი გამარჯვებულებს მედლები და დიპლომები გადასცა.

ლელა ბუბულაშვილი

ვინ აყვავილებს ხარაგაულს ...

გლიცინიები უკვე დარგულია და ხარაგაულის ხიდებზე ამ მცენარის ხეივნები მოეწყობა... მდინარე ჯიხვულას ნაპირზე მზესუმზირების ბაღი გაშენდა... ჰაბისკუსი – ჩინური ვარდი, წითელი და ვარდისფერი პიონები, აზალიები, ზამბახები – უიშვიათესი ფერებით, ხვიარა ვარდები, ოლეანდრები, მიმოზები, კამელიები, იასამნები – სხვადასხვა ფერის, ქრიზანთემები, გარდენიები, ამ უკანასკნელს სასიამოვნო სურნელის გამო მირონის ხეს ეძახიან – ეს მცენარეები ხარაგაულში ხარობენ და თითოეული მათგანის დარგვა, გახარება-ყვავილობა ა(ა)იპ „ხარაგაულკეთილმოწყობის“ სამსახურისა და მისი დირექტორის, დავით ლაცაბიძის, დამსახურებაა.

„ადამიანი ყველა საქმეს გულისხმიერად, პასუხისმგებლობითა და სიყვარულით უნდა აკეთებდეს, არ აქვს მნიშვნელობა, რა სფეროში მოღვაწეობ. უზომოდ მიყვარს ხარაგაული. საქმე, რასაც ვაკეთებ, ჩემთვის პირველ ადგილზეა. სხვა ბევრ ვალდებულებასთან ერთად ჩვენი სამსახურის უმთავრესი ფუნქცია ხარაგაულის კეთილმოწყობაა. დიდი შრომა სჭირდება თითოეული მცენარის დარგვას, მოვლას, გახარებას. ახლახან გავაკეთეთ ქუჩის საყვავილეები იმ მიზნით, რომ ხარაგაული უფრო ლამაზი და აყვავებული იყოს. მუნიციპალიტეტის გალამაზებაში აქტიურად გვეხმარება ადგილობრივი მოსახლეობა, უსასყიდლოდ გადმოგვცემენ ნერგებს, ხელს გვიწყობენ მათ მოვლა-პატრონობაში. ბევრი იდეა მაქვს, არ ვიცი, რამდენად შევძლებ განხორციელებას, მაგრამ შეუძლებელიც არაფერია... ხარაგაულის კულტურისა და დასვენების პარკის ძველი ადმინისტრაციული შენობის ადგილას მინდა, ორანჟერეა გავაკეთოთ. კარგი იქნება და დაამშვენებს ხარაგაულს,“ –ამბობს ჩვენთან საუბარში დავით ლაცაბიძე.

მას მცენარეები ჯერ ქოთნის პირობებში გამოჰყავს, შემდეგ ისინი სპეციალურად მოწყობილ სანერგე მეურნეობაში გადააქვს, რომელსაც თავად უვლის.

ზეპირად იცის, სად რა მცენარე ხარობს, სად რომელი ნერგია გახარებული, ყველა ყვავილს საკუთარი ხელით უვლის, ეფერება და ზრუნავს მათზე...

დავით ლაცაბიძე გვპირდება, რომ რამდენიმე წელიწადში ხარაგაულის ქუჩები კეთილმოწყობილი და ბევრად უფრო ლამაზი იქნება.

ლელა ბუბულაშვილი

ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთის გზის პროექტის განხილვა მიეწყო

საავტომობილო გზების დეპარტამენტი აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალზე ავტობანის მშენებლობას განაგრძობს. შემდეგი მონაკვეთი, რომლის მოდერნიზებაც ამჟამად იგეგმება, ხევი-უბისა-შორაპანი-არგვეთის 42 კმ სიგრძის გზაა. პროექტი 77-მდე ხიდისა და 40-მდე გვირაბის აშენებას ითვალისწინებს, რომლის ჯამური ღირებულება 800 მილიონ დოლარს შეადგენს. აღნიშნული გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, რომელსაც ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, საკრებულოს თავმჯდომარე, მანანა ბარბაქაძე და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი თემური თაბუკაშვილი დაესწრნენ. ადგილობრივებს გარემოსდაცვითი ზემოქმედების შესახებ დოკუმენტაცია საგზაო დეპარტამენტის გარემოს დაცვის სამსახურის უფროსმა გია სოფაძემ და უშუალოდ აღნიშნული პროექტის კონსტრუქტორებმა გააცნეს. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ უახლოეს მომავალში მზადდება გზის დეტალური დიზაინი, რის შემდეგაც ყველა საკითხი ეტაპობრივად განიხილება, მათ შორის, საუბარი იქნება შენობა-ნაგებობებზე, რომლებიც მშენებლობის ზოლში მოხვდება. გარემოს დაცვის სამსახურის წარმომადგენლებმა მოსახლეობას ამცნეს, რომ ის შენიშვნები, რომლებიც ეკოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით ადგილობრივებს ექნებათ, პროექტში აუცილებლად გათვალისწინებული იქნება. შეხვედრა კითხვა -პასუხის რეჟიმში წარიმართა და მოქალაქეებს მათთვის საინტერესო თემებზე ამომწურავი პასუხები გაეცათ.

პროექტის განხორციელების აუცილებლობაზე ისაუბრა მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველმა მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ და რამდენიმე მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა ყურადღება.

„ჩვენ ვხდებით ისტორიული მოვლენის მომსწრე, რადგან ამ ულამაზეს ხეობაში გაივლის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი. შესაძლებელია, გარკვეული წინააღმდეგობები შეგვხვდეს, მაგრამ შექმნილი დისკომფორტისათვის გვმართებს უდიდესი მოთმინება, რადგან ამ გზის რეაბილიტაცია მნიშვნელოვანია ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევისათვის.“- დასძინა გამგებლის მოადგილემ და კონსტრუქტორებს პროექტში ორი მნიშვნელოვანი საკითხის გათვალისწინება მოსთხოვა. „ამ ზონაზე მოსახლეობის ძირითად საქმიანობას გარე ვაჭრობა წარმოადგენს. ჩემი თხოვნაა, ახალ ავტომაგისტრალზე არსებობდეს მინი აგრო ბაზრები. ასევე, რაც შეიძლება, მოკლე ინტერვალში გაკეთდეს ნახირის გადასარეკი უბნები.“

შეგახსენებთ, რომ პროექტი აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ხორციელდება და სამშენებლო სამუშაოები სამ წელიწადში დასრულდება.

ეკა შავიძე

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლებს შეხვდა

არასამთავრობო ორგანიზაცია „მოქალაქეს“ წარმომადგენლებსა და ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელ ნიკოლოზ თოფურიძეს შორის მორიგი შეხვედრა გაიმართა. პროექტის მთავარი მიზანი, რომელსაც არასამთავრობო ახორციელებს, სოფლის მოსახლეობისთვის პრიორიტეტული პრობლემების აღმოფხვრა და დასახლებისათვის სასურველი გარემო პირობების შექმნაა. „მოქალაქეს“ წევრებმა ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელს 2017 წლის 17 მაისს სოფელ ღორეშაში საერთო კრების დროს წამოჭრილი რამდენიმე პრობლემური საკითხი გააცნეს და მოგვარების შესაძლო გზებზე იმსჯელეს. პირველი საკითხი, რომელიც შეხვედრაზე განიხილეს, ღორეშის ტერიტორიაზე მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებულ ადმინისტრაციულ შენობაში მდებარე სპორტული დარბაზია. იგი ამჟამად უფუნქციოდაა და სპორტული ინვენტარით მომარაგებას საჭიროებს. მეორე საკითხი ღორეშაში არსებულ ვაჟა-ფშაველას მემორიალის მიმდებარე სკვერისა და შინმოუსვლელთა სკვერის რეაბილიტაციას ეხებოდა. ორივე ობიექტი მოუვლელი და დაბინძურებულია. პრობლემურ საკითხად გამოყო სოფლის მოსახლეობამ კვადოურას უბნის სასაფლაომდე მისასვლელი გზისა და სასაფლაოს შემოღობვის თემაც. ადგილობრივები სარიტუალო დარბაზის მომსახურებითაც უკმაყოფილო არიან.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, მზადყოფნა გამოთქვა, რომ შესაძლებლობის ფარგლებში, აღნიშნული პრობლემების მოგვარებაში პირადად ჩაერთოს. „მისასალმებელია ჩემთვის ასეთი საქმიანი შეხვედრები და ახალგაზრდების ამგვარი აქტიურობა. რაც უფრო ინტენსიურად გვექნება საქმიანი თანამშრომლობა, შედეგიც სასურველი იქნება.“ - აღნიშნა ნიკოლოზ თოფურიძემ. დასასრულს, ჯგუფის ლიდერმა, ნინო გვასალიამ, პროექტის შემდგომი ეტაპის მნიშვნელობაზე ისაუბრა. მისივე თქმით, ივნისის ბოლოს არასამთავრობო ორგანიზაციისა და გამოცდებისა და შეფასების ეროვნული ცენტრის მიერ ჩატარდება პრეზენტაცია-კონფერენცია, სადაც 50 ჯგუფიდან 20 ჯგუფი წარადგენს თავის პროექტს და მუნიციპალიტეტის გამგებელთან ერთად მოხდება განხილვა. ნინო გვასალია იმედს გამოთქვამს, რომ მათი პროექტი გაიმარჯვებს, რის შემდეგაც ისინი ორკვირიან სასწავლო ტურზე გერმანიასა და პოლონეთში გაემგზავრებიან.

ლელა გუგულაშვილი

„მობილური ექსტენციის“ ჯგუფის მეცნიერ-თანამშრომლებმა ხარაგაულელ ფერმერებს სემინარები ჩაუტარეს

სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებმა ხარაგაულის საინფორმაციო- საკონსულტაციო სამსახურის (ხელმძღვანელი ბონდო კიკნაველიძე) თანამშრომლებთან ერთად, ხარაგაულელ ფერმერებთან შეხვედრა გამართეს. „მობილური ექსტენციის“ ჯგუფის პროექტის ფარგლებში მეცნიერ-თანამშრომლებმა და რეგიონებთან კოორდინაციის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა, გივი ჭონიაშვილმა, სოფელ ისლარში გიორგი ჭიპაშვილის მწვანე სალათის სასათბურე მეურნეობა დაათვალიერეს.

სამეცნიერო -კვლევითი ცენტრის თანამშრომელმა, ილია მჭედლიძემ, ახალბედა მეურნეს გარკვეული რჩევები მისცა. ასევე, კონსულტაცია გაუწია მცენარეთა მავნე დაავადებისგან დაცვის მეთოდებზე, ქიმიური და ბიოლოგიური წამლების გამოყენებასა და მათგან გამოწვეულ შედეგებზე. ილია მჭედლიძის, განმარტებით, კარგი იქნება თუ სათბურში სასუქის შემრევი სისტემა დამონტაჟდება, შემდეგში წიწაკის, კიტრის ან პომიდვრის მეურნეობის განვითარებისათვის.

გიორგი ჭიპაშვილმა მადლობა გადაუხადა სტუმრებს და აღნიშნა, რომ ბევრი სასარგებლო ინფორმაცია მიიღო, რაც მომავალში აუცილებლად გამოადგება. „მობილური ექსტენციის“ ჯგუფის წარმომადგენლები ადგილზე შეკრებილ ფერმერებსა და მეურნეებს მეფუტკრეობის, კენკროვანი კულტურების, ბოსტნეულისა და მევენახეობის განვითარებაზე გაესაუბრნენ. მათ მიეწოდათ ასევე, ინფორმაცია თუ რა მნიშვნელობა აქვს მცენარისთვის ნიადაგის სტრუქტურის გაუმჯობესებას და რა ღონისძიებები უნდა გატარდეს ამისთვის.

შეხვედრაზე სოფლის მეურნეობის სააგენტოს ხარაგაულის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ხელმძღვანელმა, ბონდო კიკნაველიძემ, აღნიშნა, რომ „მობილური ექსტენციის“ ჯგუფი მსგავსი სახის ვიზიტებს იმერეთის რეგიონში ხშირად ახორციელებს. ექსტენცია ფერმერისთვის ცოდნის, გამოცდილების, თანამედროვე ტექნოლოგიების, ახალი ჯიშებისა და მეთოდების შესახებ ინფორმაციის გაზიარებას გულისხმობს. ვიზიტის ფარგლებში შეხვედრები გაიმართა ასევე მევენახეობის თემებზე „ბორითის ადმინისტრაციულ ერთეულში, ხოლო კენკროვანი კულტურების შესახებ -ხუნევში.

„პროექტს სოფლის მეურნეობის სამინისტრო კვლევით ცენტრთან ერთად ორი წელია ახორციელებს და მისი მიზანია, ზუსტად მივაწოდოთ ფერმერებს ინფორმაცია ყველა საინტერესო და საჭირო საკითხთან დაკავშირებით. ვგეგმავთ, რეგიონებს გადავცეთ ტრანსპორტი, რათა უფრო მარტივი და ხელმისაწვდომი იყოს შესაბამისი სპეციალისტების გადაადგილება და გასვლითი სემინარების ჩატარება. ფერმერებთან პირდაპირი კომუნიკაცია ძალიან კარგ შედეგს იძლევა და სასიამოვნოა ის ფაქტი, რომ მოსახლეობის დაინტერესება დიდია.“ -ა ღნიშნა რეგიონთა კოორდინაციის დეპარტამენტის მთავარმა სპეციალისტმა გივი ჭონიაშვილმა.

ბონდო კიკნაველიძის, განმარტებით, მსგავსი სემინარები ფერმერებისთვის მომავალშიც გაიმართება.

ლელა გუგულაშვილი

ჯიდევ ერთი ღამაზი, ძაღიან ღამაზი დღე...

ენით გამოუთქმელი სიხარული განვიცადეთ 17 მაისს მესამე საჯარო სკოლის მეცხრეკლასელებმა (კლასის ხელმძღვანელი მაია გაგოშიძე). ჩვენი უფროსი მეგობარი, ჩვენს ქცევებსა და აკადემიურ მაჩვენებლებზე მუდამ სმენაგამახვილებული გონიერი მრჩეველი იუზა (ვალოდა) კელენჯერიძე, ანუ როგორც სიყვარულით ვეძახით, ჩვენი ვალოდა ბაბუ, სკოლაში გვეწვია. ამჯერად ჩვენთან სტუმრობა მან ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, მერი გიორგიძის, დაბადების დღეს დაუკავშირა. ჩვენ ხომ სწორედ მერი მასწავლებლის გულისხმიერებით შევიძინეთ ისეთი მზრუნველი უფროსი მეგობარი, როგორიც ჩვენი ვალოდა ბაბუა.

ვალოდა ბაბუმ დიდი პატივისცემა გამოხატა სკოლისა და ყველა იმ პედაგოგის მიმართ, რომელთა თავდაუზოგავი შრომითაც საიმედო საფუძველი უმზადდება ქვეყნის მომავალს.

როგორც ყოვეთვის, ახლაც ვალოდა ბაბუმ საჩუქრად ჩვენი ცოდნის გასაფართოებელი მეტად საჭირო წიგნი „მსოფლიო ენციკლოპედია“ გვისახსოვრა.

იგი დეტალურად გაეცნო ჩვენს აკადემიურ მაჩვენებლებს და სასარგებლო რჩევები მოგვცა.

სასწავლო მუშაობის დარგში დირექტორის მოადგილემ, ქალბატონმა ნანა კვინიკაძემ, თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა ამ მეგობრობის დიდ მნიშვნელობას და მადლობა გადაუხადა ჩვენს უფროს მეგობარს ესოდენ დიდი მზრუნველობისა და ყურადღებისათვის.

ეს შეხვედრა სამახსოვრო სურათის გადაღებით დასრულდა.

-თქვენს ყურადღებას ჩვენც კარგი სწავლითა და ყოფაქცევით ვუპასუხებთ, რომ ყოველთვის პირნათელნი და წარმატებულნი შეგხვდეთ თქვენ, ჩვენო უფროსო მეგობარო, ჩვენო საყვარელო ვალოდა ბაბუ!

მესამე საჯარო სკოლის მეცხრეკლასელები

ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ზონაზე ახალი პროექტის განხორციელება იგეგმება

ინოვაციების ცენტრში პროექტის „ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ტრადიციული გამოყენების ზონაში გარემოსდაცვითი ადვოკატირების კომპანია და ინოვაციური ტექნოლოგიები ალპურ საძოვრებზე“ საჯარო განხილვა მოეწყო, რომელსაც გამგებლის პირველი მოადგილე, არჩილ მაღრაძე, ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დირექტორი, ლევან თაბუნიძე, შპს „მზის სახლის“ დირექტორი კოტე კობახიძე, პროექტის კოორდინატორი ხათუნა მანჯავიძე და სხვა დაინტერესებული პირები ესწრებოდნენ. ქალბატონმა ხათუნამ დამსწრე საზოგადოებას პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდა და განმარტა, რომ ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ალპურ საძოვრებზე მწყემსების ბინასთან ელექტროღობეები და ჰელიონათურები დამონტაჟდება, რაც მტაცებელი ცხოველებიდან გამოწვეულ ზარალს შეამცირებს. ხათუნა მანჯავიძე ამბობს, რომ ახალი ტექნოლოგიები 5 მუნიციპალიტეტში (ხარაგაული, ბაღდათი, ახალციხე, ადიგენი და ბორჯომი) დაინერგება.

ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის დირექტორი, ლევან თაბუნიძე, განმარტავს, რომ მსგავსი ტიპის პროექტი თუშეთის ეროვნულ პარკში საკმაოდ წარმატებით განხორციელდა და კარგი იქნება მათი გამოცდილების გაზიარება.

ელექტროღობეების ტექნიკურ დეტალებზე გაამახვილა ყურადღება შპს „მზის სახლის“ დირექტორმა კოტე კობახიძემ. მისივე განმარტებით, ელექტროღობე ფართოდაა გავრცელებული საზღვარგარეთ, საქართველოში კი მისი გამოყენების არეალი მცირეა. კობახიძე ამბობს, რომ იგი სრულიად უსაფრთხოა, როგორც მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის დასაცავად, ასევე დენის წყაროდ.

გამგებლის მოადგილემ, არჩილ მაღრაძემ, მადლობა გადაუხადა ხათუნა მანჯავიძეს და აღნიშნა, რომ თუ პროექტი წარმატებით განხორციელდა, შესაძლებელია, ბორჯომ - ხარაგაულის ეროვნული პარკის ალპური ზონის ყველა საძოვარი ახალი ტექნოლოგიებით აღიჭურვოს.

აღსანიშნავია, რომ პროექტს გაეროს განვითარების მცირე გრანტების პროგრამა 12 450 დოლარით აფინანსებს. პროექტის განხორციელება ხარაგაულში უახლოეს მომავალში დაიწყება.

თამარ მაღრაძე

ხარაგაულის კინოთეატრში ახალი სპექტაკლის- „ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცის"-პრემიერა შედგა

„ექვსი შინაბერა და ერთი მამაკაცი"-ასე ერქვა სპექტაკლს, რომლის პრემიერაც ხარაგაულის კულტურის ცენტრთან არსებულმა ოთარ აბაშიძის სახელობის სახალხო თეატრმა 5 ივნისს, ხარაგაულის კინოთეატრში გამართა. სპექტაკლი ოტია იოსელიანის ნაწარმოების მიხედვით დაიდგა და იგი ქალბატონი ირინე ჩხეიძის მორიგი ნამუშევარია. ერთსაათიან წარმოდგენაში შვიდი მსახიობი (ლუიზა კიკნაძე, ლია ჭიპაშვილი, თამარ ოსანაძე, მაია ბერაძე, ნათია მეტრეველი, ირინე ჩხეიძე, ვასილ კიკნაძე) იყო დაკავებული, რომლებიც რამდენიმე თვის განმავლობაში თავდაუზოგავად შრომობდნენ, რათა ღირსეულად წარმდგარიყვნენ მაყურებლის წინაშე. სპექტაკლმა ოვაციების ფონზე ჩაიარა და დიდი მოწონება დაიმსახურა. მუსიკალური გაფორმება ანა ჩხეიძეს ეკუთვნის, ქორეოგრაფია-ანანო რატიანს, მხატვარი გაიოზ შუბითიძე, ოპერატორები კი – დავით კვირიკაშვილი და ირაკლი შარიქაძე.

პრემიერას მუნიციპალიტეტის გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე, გამგებლის მოადგილეები, საკრებულოს თავმჯდომარე მანანა ბარბაქაძე და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ეკა შავიძე

C ჰეპატიტის პროგრამასთან დაკავშირებით გოჩა გიორგიძემ ინოვაციების ცენტრში შეხვედრა გამართა

ხარაგაულის ინოვაციების ცენტრში დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს უფროსმა, გოჩა გიორგიძემ, C ჰეპატიტის პროგრამასთან დაკავშირებით შეხვედრა გამართა. შეხვედრას ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგებელი, ნიკოლოზ თოფურიძე, ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები, გამგეობისა და ა(ა)იპ-ების თანამშრომლები ესწრებოდნენ.

გოჩა გიორგიძე დამსწრე საზოგადოებას C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამის შესახებ ესაუბრა, რომლის მიზანი ქვეყანაში ამ ვირუსით გამოწვეული ავადობისა და სიკვდილიანობის შემცირება, ასევე ახალი შემთხვევების აღმოცენების შესაბამისი პრევენციაა. მისივე ინფორმაციით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრსა და ამბულატორიებს აქვთ C ჰეპატიტის დასადგენი ტესტები და ნებისმიერ ადამიანს შეუძლია, ჩაიტაროს გამოკვლევა. მოსახლეობის სურვილის შემთხვევაში შესაძლებელია, მობილური ლაბორატორიების სოფლებში მისვლაც.

C ჰეპატიტის მკურნალობას სახელწიფო აფინანსებს. მკურნალობამდე დამატებით სადიაგნოსტიკო ხარჯებს სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს 70%-ს სახელმწიფო უფარავს, ხოლო ამ სტატუსის არმქონეს კი -30 %-ს. აღსანიშნავია, რომ ხარაგაულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებლებს ადგილობრივი ბიუჯეტი C ჰეპატიტის დიაგნოსტირების ხარჯებს მთლიანად აფინანსებს.

იმერეთის სამმართველოს უფროსმა, გოჩა გიორგიძემ, შეხვედრისას სალონებში ჰიგიენური და სანიტარული კონტროლის აუცილებლობასა და თამბაქოს მავნებლობაზეც ისაუბრა. ამავე დღეს კიცხის ზონაზე მობილური ლაბორატორიის სპეციალისტებმა C ჰეპატიტისა და არტერიული წნევის უფასო გამოკვლევები ჩაუტარეს მოსახლეობას.

მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ნიკოლოზ თოფურიძემ, შეხვედრის ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა და მოსახლეობას C ჰეპატიტის სკრინინგ აქციაში აქტიური ჩართულობისკენ მოუწოდა.

შეგახსენებთ, რომ შეხვედრა ა(ა)იპ „ხარაგაულის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ (დირექტორი შმაგი ხიჯაკაძე) მხარდაჭერითა და დავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის იმერეთის სამმართველოს ინიციატივით ჩატარდა.

ეკა შავიძე

ჩხერსა და ვანში ცენტრალური გზა მოასფალტდება

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობამ საღანძილის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლების ჩხერისა და ვანის ცენტრალური გზის მოასფალტებაზე ტენდერი გამოაცხადა. ჩხერში ავტოსადგურის მხრიდან ასასვლელი გზის მონაკვეთი 1 კმ-სა და 300 მეტრზე მობეტონდება, ხოლო ვანის ცენტრალურ გზას (3კმ-სა და 700 მეტზე) სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება. შესყიდვის სავარაუდო ღირებულება 981 280 ლარია.

ვერტყვილაში ცენტრალური გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო

ვერტყვილაში ცენტრალური საავტომობილო მაგისტრალიდან სოფლის დასახლებულ პუნქტამდე, დაახლოებით, 1 კმ. გზა მობეტონდება. ხარაგაულის მუნიციპალიტეტის გამგეობასა (გამგებელი ნიკოლოზ თოფურიძე) და გამოვლენილ გამარჯვებულ კომპანია „პემს“ შორის ხელშეკრულება 25 მაისს გაფორმდა. აღნიშნული კომპანია ასევე მოახდენს სოფელ წაქვას 1კმ და 500მ. გზის რეაბილიტაციას. სამუშაოების ღირებულება 373900 ლარია და პროცესი სექტემბრის ბოლოს დასრულდება.

„მონატრებული მელოდიები"

2 ივნისს ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ლამაზი და შთამბეჭდავი ღონისძიება გაიმართა, რომელიც ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. „მონატრებული მელოდიები“ ასე უწოდეს იმ ჰანგებს კინოფილმებიდან, რომელმაც მსმენელი მონუსხა და დაატყვევა. ღონისძიების დასაწყისში სამუსიკო სკოლის დირექტორი ქალბატონი ლალი ალექსიძე დამსწრე საზოგადოებას მიესალმა და მოსწავლეებს წარმატებები უსურვა. მან ასევე ისაუბრა „მომავლის ვარსკვლავების" შესახებ, რომელშიც ხარაგაულის სამუსიკო სკოლის მოსწავლეებიც მონაწილეობდნენ. კონცერტზე ნაცნობი და მონატრებული მელოდიები ფორტეპიანოსა და ვიოლინოზე მაღალ დონეზე შესრულდა და მოსწავლეებმა მსმენელის მქუხარე აპლოდისმენტებიც დაიმსახურეს.

„მოხეტიალე ხელოვანების“ მორიგი შეხვედრა ბაზალეთის საჯარო სკოლაში

ბაზალეთის საჯარო სკოლის დარბაზში ახალგაზრდა შემოქმედთა კლუბის „მოხეტიალე ხელოვანების“ მომდევნო შეხვედრა გაიმართა, რომელზეც ახალგაზრდებს თავიანთი ნიჭისა და უნარების გამოვლინების შესაძლებლობა მიეცათ. ბაზალეთის სკოლის პედაგოგმა, თეა ტალახაძემ, სასიამოვნო გარემო დაახვედრა სტუმრებს და გულთბილი მასპინძლობა გაუწია... საღამო საკმაოდ მრავალფეროვანი და საინტერესო ფორმატით წარიმართა. ახალგაზრდებმა საკუთარი ლექსები წაიკითხეს. სცენაზე ერთმანეთს ცვლიდა სიმღერა, ცეკვა, პარალელურად მოსწავლეები ხატავდნენ. საღამოს შეუერთდნენ ბაღდათი-ხარაგაულის მაჟორიტარი დეპუტატის ბიუროს ხელმძღვანელი ოთარ ლურსმანაშვილი და ბაზალეთის მაჟორიტარი დეპუტატი, ვარლამ ჭიპაშვილი, რომლებიც პროექტის მხარდამჭერები არიან. შეხვედრას ესწრებოდა საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე, მარინე ვეფხვაძე, რომელმაც შემოქმედ მოსწავლეებს ლექსები წაუკითხა და შეხვედრის შთაბეჭდილებები გაუზიარა. შეგახსენებთ, რომ შემოქმედთა კლუბი „მოხეტიალე ხელოვანები“ მეორე საჯარო სკოლის მოსწავლის, ლიზი ბარბაქაძის, ინიციატივით დაარსდა.

ლელა გუგულაშვილი

„უბისის“ მოცეკვავეები ჩეხეთსა და პოლონეთში მიიწვიეს

26 მაისს თბილისის არტ ჰოლში საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ კონცერტში ხარაგაულის ქორეოგრაფიულმა ანსამბლმა „უბისმა“ (ქორეოგრაფები: ელისო და ზაზა ლურსმანაშვილები) მიიღო მონაწილეობა. ღონისძიება ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრის მიერ გახლდათ ორგანიზებული, რომელშიც საქართველოს თითქმის ყველა რეგიონიდან მონაწილეობდნენ. ანსამბლ „უბისს“ კონცერტში მონაწილეობისა და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობისთვის დიპლომები გადაეცა. ანსამბლმა მიიღო ასევე 10 დღიანი ტურის საგზურები ჩეხეთსა და პოლონეთში. „უბისელების“ გამგზავრებისთვის საჭირო თანხის ნახევარს ქართული ქორეოგრაფიის ეროვნული ცენტრი დააფინანსებს.

თამარ ლურსმანაშვილი ,,მომავლის ვარსკვლავის'' ლაურეატია

ხარაგაულის შოთა ბუაჩიძის სახელობის სამუსიკო სკოლის (დირექტორი, ლალი ალექსიძე) მოსწავლემ, თამარ ლურსმანაშვილმა, თბილისში გამართულ კლასიკური მუსიკის მე-10 საიუბილეო რესპუბლიკურ ფესტივალზე „მომავლის ვარსკვლავის“ ლაურეატის წოდება მიიღო. თამარმა რევაზ ლაღიძის სიმღერა „განთიადი“ შეასრულა და დიდი მოწონება დაიმსახურა. თავდაპირველად ახალგაზრდა მომღერალმა „მომავლის ვარსკვლავის“ პირველი ტურის კონკურსში გაიმარჯვა, რის შემდეგაც გალაკონცერტში მონაწილეობის უფლება მიეცა.

გამომცემელი ა(ა)იპ „მოქალაქეთა ჩართულობისა და ინფორმირების მუნიციპალური ცენტრი“
მის: ხარაგაული, 9 აპრილის ქ.№15, ტელ: **22-32-25**; ტირაჟი 1500 ცალი
დირექტორი: ეკა შავიძე; ტელ.: 595-51-98-12